



## წერიტინაშრომის შესრულების

### სტანდარტები

აკადემიური საბჭოს დადგენილება  
2010 წლის 20 დეკემბერი, ოქმი N5

ცვლილებები განხილილია ჰუმნიტარულ,  
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა  
და მართვის ფაკულტეტის საბჭოზე 27. 02. 2017. ოქმი #5  
დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 23.03. 2017. ოქმი #11

5.

#### 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. წინამდებარე მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ წერით ნაშრომებზე, თუ ნაშრომის სპეციფიკიდან ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით, პროფესორის მიერ სილაბუსით ან უფლებამოსილი ორგანოს მარეგულირებელი აქტით, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წერითი ნაშრომებია:
  - ✓ საბაკალავრო ნაშრომი;
  - ✓ სამაგისტრო ნაშრომი;
  - ✓ სადოქტორო დისერტაცია;
  - ✓ სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი;
  - ✓ დისერტაციის პროექტი;
  - ✓ საკურსო ნაშრომი / რეფერატი;
  - ✓ პუბლიკაცია / სტატია (უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში დასაბეჭდად);
- 1.2. სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული ყველა წერითი ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის შეფასების მტკიცებულებას. საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომები დადგენილი ფორმით, შეფასების დასრულების შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას;
- 1.3. ბიბლიოთეკაში გადაცემული ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი ინახება 2 წლის ვადით;
- 1.4. ნაშრომი, რომელიც გამოირჩევა შესრულების მაღალი ხარისხით და გარკვეული თვალსაზრისით რაიმე ფასეულობას წარმოადგენს, გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ინახება განუსაზღვრელი ვადით. მსგავს ნაშრომებზე რეკომენდაცია გაიცემა პროფესორის მიერ, რომლის ხელმძღვანელობითაც შესრულდა ნაშრომი;
- 1.5. ყველა სადოქტორო დისერტაცია ინახება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განუსაზღვრელი ვადით;
- 1.6. ყველა ნაშრომი სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას ნაბეჭდი სახით. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ბაკალავრიატის პირველი კურსის პირველ სემესტრში შესრულებულ და უნივერსიტეტში საკონტაქტო საათების დროს შესრულებულ ნაშრომებზე (შუასემესტრულ/საფინანსო წერით გამოცდებზე).

## 2. წერიტინაშრომის ზოგადი სტანდარტები

- 2.1. **ენა:**წერიტი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე,ორთოგრაფიული,სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ნაშრომის შესრულება სხვა ენაზეც. უცხო ენაზე შესრულებულ ნაშრომთა სტანდარტებს ადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- 2.2. **ქაღალდი:**ნაშრომი უნდა შესრულდეს A4ფორმატის თეთრ ქაღალდზე,ორიენტაცია-ვერტიკალური. ბეჭვდა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნას ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.  
**მინდორი:**არე მარცხნიდან 2,5 სმ, მარჯვნიდან -1,5 სმდა არე ზემოდან და ქვემოდან არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სანტიმეტრისა.
- 2.3. **შრიფტი:**სადოქტორო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სხვა ნაშრომები შესაძლებელია, როგორცშრიფტით„Sylfaen“,შრიფტის ზომა -11, ასევე, შრიფტით„AcadNusx“, შრიფტის ზომა -12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული იქნას უფრო დიდი შრიფტი, ზომით - 14 ან 16.
- 2.4. **სტრიქონებს შორის მანძილი:**ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის1,5.მცირე ზომისსექციებისთვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა, და სხვა) დაავტორეფერატისთვის აიღება ინტერვალი 1.
- 2.5. **გვერდების ნუმერაცია:**ყველა გვერდი დანომრილი უნდა იქნას თანმიმდევრობით.დაუშვებელიათავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და, ასევე, გვერდების განმეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 10.
- 2.6. **თავებისა და ქვეთავების დასახელებები:**ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა იქნასჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
- 2.7. **სქოლიო:**სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ან ნაშრომის ბოლოს.შრიფტის ზომა - 10.სქოლიოს განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან.
- 2.8. **გამოყენებული წყაროები:**გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომისბოლოს ანბანის მიხედვით (ჯერ ქართულ, შემდგომ კი შესაბამის უცხო ენაზე). ნაშრომს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს სახელთა საძიებელი, რომელიც უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს – ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობისა და/ან ანბანის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:
- **სტატია:**გვარი,ინიციალი/სრული სათაური.ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა,წელი, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული.
- მაგ.: ბარამიძე ე., რომის სამართალი რომაულ გამონათქვამებში ქართული შესატყვისებით, ჟურნ. „სამართალი“, 2004, #3, გვ.10-14.
- **სამეცნიერო კრებული:** კონკრეტული ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) გვარი, ინიციალი/სტატიის სრული სათაური. კრებული (კრებ.), კრებულის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, გამომცემლობა, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული.
- მაგ.: ბოკუჩავა თ., აბსურდის `ანტიდრამის“ ზოგიერთი საკითხისთვის, კრებ. მე-20 საუკუნის ხელოვნება 2, ხელოვნება ტოტალიტარიზმის პერიოდში 1930-1960, თბ., 2012, გვ.11-24.
- **წიგნის ცალკეული გვერდების მითითებისას:**გვარი,ინიციალი/სრული სათაური,გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვ. დასაწყისი - დასასრული.
- მაგ.: მეტრეველი ვ. რომის სამართალი, „ბაკმი“ 2000. გვ 110-112.
- **მთლიანი წიგნის მითითებისას:**გვარი,ინიციალი/სრული სათაური,გამომცემის ადგილი,გამომცემლობა, წელი, (ტომი),გვ.
- მაგ.: მეტრეველი ვ. რომის სამართალი, თბილისი,„ბაკმი“ 2000. გვ 110-112.
- **ინფორმაცია გლობალური ქსელი:**ავტორი და სტატიის სათაური (არსებობის შემთხვევაში) , ვებ-გვერდის დასახელება.უკანასკნელად იქნაგადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

### 3. საკურსოს/რეფერატის შესრულება, გაფორმება და შეფასება

- 3.1. რეფერატი/საკურსო - კვლევითი ხასიათის მოკლე წერიტი ნაშრომი, რომელიც შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან სტუდენტების ჯგუფის მიერ. რეფერატის/საკურსოს წერის ძირითადი დანიშნულებაა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მასალის მოძიება, მცირე კვლევის ჩატარება და მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვისა და დასკვნების ჩამოყალიბება.
- 3.2. **რეფერატის მოცულობა** უნდა იყოს, არანაკლებ 3 და არაუმეტეს 6 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. ხოლო საკურსოს მოცულობა უნდა იყოს 12-20 გვერდი.
- 3.3. **საკურსო ნაშრომის გაფორმების** სხვა ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქალაქი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი).
- 3.4. **რეფერატის/საკურსოს შეფასება:** რეკომენდირებულია რეფერატი/საკურსო ნაშრომი შეფასდეს შემდეგი პარამეტრებით: ტექნიკური მხარე (ქულათა საერთო რაოდენობის 20%), შინაარსობრივი მხარე (ქულათა საერთო რაოდენობის 60%) და პრეზენტაცია (ქულათა საერთო რაოდენობის 20%).  
ტექნიკური მხარე ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
  - ზოგად სტანდარტებთან შესაბამისობა (10%);
  - ენობრივი, სტილისტური და სტრუქტურული გამართულობა (10%);შინაარსობრივი მხარე ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
  - მასალის ცოდნის სიღრმე, პროფესიული ტერმინოლოგიის ფლობა (20%);
  - მასალის გადმოცემა ლოგიკურად, დასკვნებით (20 %);
  - სავალდებულო ლიტერატურის ათვისება და მასალის ანალიტიკური გააზრება (20%).პრეზენტაცია ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
  - მოწოდებული მასალის ვიზუალურ მხარე (10%);
  - პრეზენტატორის მეტყველების ლოგიკურობა, დამაჯერებლობა და დისკუსიის უნარი (10%)

### 4. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება და შეფასების კრიტერიუმები

- 4.1. საბაკალავრო ნაშრომის თემისა და სტრუქტურის შერჩევა წარმოებს სტუდენტის მიერ პროფესორთან, თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. საბაკალავრო ნაშრომი უნდა იძლეოდეს სწავლის პერიოდში მიღებული კომპეტენციების ასახვის საშუალებას.
- 4.2. **საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა:** საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არის არანაკლებ 40 და არაუმეტეს 50 გვერდისა (დანართების გარეშე). საშემსრულებლო მიმართულებისათვის იხ. 4.7. პუნქტი.
- 4.3. **საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების** სხვა ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქალაქი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი.). გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომრებს შორის არსებული სივრცის შევსება სიმბოლოებით: „... „\_“ და სხვა.
- 4.4. **საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა.** საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს:
  - **სატიტულო გვერდს** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა მოიცავდეს:
    - ✓ უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ლოგო);
    - ✓ ფაკულტეტის და პროგრამის დასახელებას;
    - ✓ სტუდენტის გვარს და სახელს;
    - ✓ საბაკალავრო ნაშრომის დასახელებას;
    - ✓ საბაკალავრო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“);
    - ✓ ხელმძღვანელის გვარს და სახელს (ხელმოწერით);

- ✓ რეცენზენტის გვარს და სახელს (ხელმოწერით);
- ✓ დაცვის წელი;
- ✓ შესრულების ადგილს („თბილისი“).

სატიტული გვერდის ნომერი არის -1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- **სარჩევს;**
- **შესავალს:** შესავალ ნაწილში მოცემული უნდა იყოს საბაკალავრო ნაშრომში დასმული პრობლემის აღწერა, აქტუალობა, არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და პრაქტიკული მნიშვნელობა შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის;
- **ძირითად ტექსტს** (რომელიც შესაძლებელია დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად);
- **დასკვნას;**
- **ბიბლიოგრაფიას ან გამოყენებული ლიტერატურის სიას;**
- **დანართებს** (საჭიროების შემთხვევაში), მაგ.: საილუსტრაციო მასალის სია, საილუსტრაციო მასალა, მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, დიაგრამები, სქემები და სხვა.დანართის გვერდების რაოდენობა არ შედის მოთხოვნილი საერთო გვერდების რაოდენობაში.

**4.5. საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა :**

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას 1 ეგზემპლარად;
- ნაშრომს უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ნაშრომის ელექტრონული ვერსია და არსებობის შემთხვევაში - პრეზენტაცია (დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და ნაშრომის დასახელება);
- ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის ვიზირება დაცვაზე, ხელმოწერით.
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეცენზენტის დასკვნა (ხელმოწერით);
- რეცენზია უნდა შესრულდეს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიერ.

**4.6. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

##	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	ტექნიკური მხარე	30
1.1.	ენობრივი გამართულობა	10
1.2.	სტილის დაცვა	10
1.3.	გამოყენებული წყაროების მითითების სისწორე	5
1.4.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	5
2.	შინაარსობრივი მხარე	50
2.1.	შინაარსის სრულყოფილება	30
2.2.	დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება	10
2.3.	კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა	10
3.	პრეზენტაბელურობა	20
3.1.	პრეზენტაციის არსებობა	10
3.2.	მეტყველების კულტურა	10
	სულ:	100

**4.7. საბაკალავრო წერითი ნაშრომის მოცულობა, გაფორმება, წარდგენა და შეფასება საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიულ) მიმართულებებზე :**

- 4.7.1. იმშემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის საშემსრულებლო მიმართულებებზე შემოქმედებით პროექტთან ერთად საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია წერითი (თეორიული)ნაშრომის წარდგენაც,მისი **მოცულობა** უნდა იყოს 10-25 გვერდი(დანართების გარეშე);
- 4.7.2. საშემსრულებლო მიმართულების საბაკალავრო წერითი ნაშრომის **ტექნიკურ მხარეზე** ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქაღალდი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი);

- 4.7.3. საშემსრულებლო მიმართულებების საბაკალავრო წერითი ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა დგინდება საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიული) მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით. წერითი ნაშრომის შინაარსი უნდა იყოს არსებით შესაბამისობაში შემოქმედებით პროექტთან (პრაქტიკულ ნაშრომთან);
- 4.7.4. საშემსრულებლო მიმართულებების საბაკალავრო წერითი ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლარად. ნაშრომს უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი თეორიული ნაშრომის და, ასევე, პრაქტიკული ნაშრომის ელექტრონული ვერსია (დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და ნაშრომის დასახელება).
- ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დასკვნა (დაცვაზე დაშვების ვიზირება) ხელმოწერით.
- 4.7.5. ნაშრომს უნდა ახლდეს რეცენზენტის დასკვნა. რეცენზია უნდა შესრულდეს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის ან პრაქტიკოსის მიერ.
- 4.7.6. საშემსრულებლო მიმართულებების საბაკალავრო წერითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიული) მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოდგენილია შემდეგი ქულათა შეფარდებით:
- შემოქმედებითი პროექტი - 70 ქულა
  - თეორიული ნაშრომი - 30 ქულა.

## 5. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება და შეფასების კრიტერიუმები

- 5.1. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა წარმოებს მაგისტრანტის მიერ ხელმძღვანელთან შეთანხმებით და თემატიკის შესაბამისად.
- 5.2. სამაგისტრო კვლევის საწყის ეტაპზე მაგისტრანტი კვლევის თემატიკას ათანხმებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომელთან ერთადაც შეიმუშავებს სამაგისტრო ნაშრომის პროექტს. სამაგისტრო ნაშრომის სათაურს და სამეცნიერო ხელმძღვანელს ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
- 5.3. **სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა:** სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა არის არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა (დანართების გარეშე). საშემსრულებლო მიმართულებებისათვის იხ. 5.8. პუნქტი.
- 5.4. **სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების** სხვა ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები (ენა, ქაღალდი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი). გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან.
- 5.5. **სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა.** სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს:
- **სატიტულო გვერდს** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა მოიცავდეს:
    - ✓ უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ლოგო);
    - ✓ ფაკულტეტის და სამაგისტრო პროგრამის დასახელებას;
    - ✓ მაგისტრანტის გვარს და სახელს;
    - ✓ სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას;
    - ✓ სამაგისტრო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“);
    - ✓ დაცვის თარიღს (თვე, წელი);
    - ✓ შესრულების ადგილს (თბილისი, 0108, საქართველო).
- სატიტულო გვერდის ნომერი არის -1, მაგრამ იგი არ მიეთითება.
- **ხელმოწერის გვერდს:** უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა ჰქონდეს:
    - ✓ უნივერსიტეტის სრული სახელწოდება („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“);
    - ✓ ფაკულტეტის და სამაგისტრო პროგრამის დასახელება;
    - ✓ ავტორის ხელმოწერა და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;
    - ✓ ტექსტი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით (ავტორის გვარი, სახელი) მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: (დასახელება) და ვამლევთ რეკომენდაციას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრსა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის(ფაკულტეტის დასახელება) საგამოცდო კომისიაში მის განხილვას მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”;

- ✓ სამაგისტრო ნაშრომის **ხელმძღვანელის** სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
- ✓ სამაგისტრო ნაშრომის **რეცენზენტების** სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით.
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (პასუხისმგებელია გაფორმების შესაბამისობაზე)სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
- ✓ დაცვის თარიღს (თვე, წელი)
- **საავტორო უფლების გვერდს:**უნდა იყოს სტანდარტული ფორმის.აღნიშნული გვერდიგანკუთვნილია იმისათვის, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიაწოდოს ნაშრომის განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს: „ფიზიკური პირების ან სხვა დაწესებულებების მიერ შესაბამისი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული ნაწილის გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიურ მიდგომას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“ იგი დამოწმებული უნდა იქნასავტორის ხელმოწერით.
- **რეზიუმეს:**მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი დაძირითადი შედეგები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, სქემებს და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 400-600 სიტყვამდე. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: სამაგისტრო ნაშრომის და ერთ-ერთ უცხო ენაზე;
- **სარჩევს;**
- **შესავალს:** შესავალ ნაწილში მოცემულიუნდა იყოს საწყისი ინფორმაცია კვლევის მიზნისა და მეთოდების შესახებ, სამაგისტრო ნაშრომში დასმული პრობლემის აღწერა, აქტუალობა და მნიშვნელობა, მიღებული შედეგების შესახებ.
- **ძირითადტექსტს:**ძირითადი, ტექსტობრივი ნაწილი შესაძლებელია დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი უნდა შეიცავს ავტორის მსჯელობას, ანალიზს, რომელიც ეფუძნება გამოყენებულ წყაროებს, (თუ საჭიროა უნდა მიეთითოს ის ძირითადი დაშვებები ან გამოწვევები, რასაც ავტორმა მიმართა კვლევის მსვლელობისას).
- **დასკვნას:**სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასკვნას,რომელიც მოკლედ უნდაიქნას ჩამოყალიბებული. შეჯამება, უნდა ეფუძნებოდეს ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობისა და ანალიზის შედეგს;
- **ბიბლიოგრაფიას ან გამოყენებული ლიტერატურის სიას;**
- **დანართებს(საჭიროების შემთხვევაში):** მასში შესაძლებელია განთავსდეს: მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, დიაგრამები, სქემები და სხვა.დანართის გვერდების რაოდენობა არ შედის მოთხოვნილი საერთო გვერდების რაოდენობაში.

#### 5.6. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა:

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას 1ეგზემპლარად;
- თან უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ნაშრომის ელექტრონული ვერსიაცა და არსებობის შემთხვევაში - პრეზენტაცია(დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და ნაშრომის დასახელება);
- ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნები.

- რეცენზია უნდა შესრულდეს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის ან პრაქტიკოსის მიერ, სასურველია დაერთოს რეცენზენტის CV ან მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ.

5.7. ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

##	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	ტექნიკური მხარე	30
1.1.	ენობრივი გამართულობა	10
1.2.	გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება	5
1.3.	გამოყენებული წყაროების მითითების სისწორე	5
1.4.	სტილის და სამეცნიერო წერის სტანდარტების დაცვა	10
2.	შინაარსობრივი მხარე	50
2.1.	შინაარსის სრულყოფილება	20
2.2.	აქტუალურობა	10
2.3.	ორიგინალობა	10
2.4.	დასკვნის (შეჯამების) სრულყოფილება	5
2.5.	კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა	5
3.	პრეზენტაბელურობა	20
3.1.	თვალსაჩინოებების, ილუსტრაციების, სქემების, დიაგრამების, ვიზუა მასალის არსებობა	10
3.2.	მეტყველების კულტურა	10
	სულ:	100

5.8. სამაგისტრო წერითი ნაშრომის მოცულობა, გაფორმება, წარდგენა და შეფასება საშემსრულებლო

(დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიულ) მიმართულებებზე :

- 5.8.1. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის საშემსრულებლო მიმართულებებზე შემოქმედებით პროექტთან ერთად სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია წერითი (თეორიული) ნაშრომის წარდგენა, მისი მოცულობა უნდა იყოს 30-35 გვერდი (დანართების გარეშე).
- 5.8.2. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო წერითი ნაშრომის ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქაღალდი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი.)
- 5.8.3. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო წერითი ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა ექვემდებარება წინამდებარე დოკუმენტის 5.5. პუნქტის მოთხოვნებს და, დამატებით, უნდა ითვალისწინებდეს საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიული) მიმართულების სპეციფიკის. წერითი ნაშრომის შინაარსი უნდა იყოს არსებით შესაბამისობაში შემოქმედებით პროექტთან (პრაქტიკულ ნაშრომთან);
- 5.8.4. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო წერითი ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს 1 ეგზემპლარად. ნაშრომს უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი თეორიული ნაშრომის და, ასევე, პრაქტიკული ნაშრომის ელექტრონული ვერსია (დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და ნაშრომის დასახელება).
  - ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის დასკვნა (დაცვაზე დაშვების ვიზირება) ხელმოწერით.
  - ნაშრომს უნდა ახლდეს რეცენზენტის დასკვნა. რეცენზია უნდა შესრულდეს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის ან პრაქტიკოსის მიერ, სასურველია დაერთოს რეცენზენტის CV ან მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ.
- 5.8.5. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო წერითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და

ქორეოგრაფიული) მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით და წარმოდგენილია შემდეგი ქულათა შეფარდებით:

- შემოქმედებითი პროექტი - 70 ქულა
- თეორიული ნაშრომი - 30 ქულა.

## 6. ავტორეფერატის სტრუქტურა და გაფორმება

- 6.1. ავტორეფერატის დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლევრსია. ის ბარდება დისერტაციასთან ერთად ქართულ და ერთ-ერთ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) ენაზე. ავტორეფერატის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის თითო ეგზემპლარი ბარდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თითო - საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.
- 6.2. ავტორეფერატის ქართული ვარიანტის **მოცულობა** უნდა იყოს 35-50 ათასი ნიშნის ფარგლებში (A4 ფორმატის 20-25 გვერდი).
- 6.3. ავტორეფერატის **ტიქნიკური მონაცემები** გვერდდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქალაქი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი.). გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან.
- 6.4. ავტორეფერატის ბეჭდური ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს A5 ფორმატში, აკინძული.
- 6.5. ავტორეფერატის **სტრუქტურა**:

- **სატიტულო გვერდი** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა მოიცავდეს:
  - ✓ უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ლოგო)
  - ✓ ფაკულტეტის და პროგრამის დასახელებას;
  - ✓ დოქტორანტის გვარს და სახელს
  - ✓ სადისერტაციო ნაშრომის დასახელებას;
  - ✓ სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია (დარგის სახელწოდება) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“)
  - ✓ დაცვის თარიღს (თვე, წელი)
  - ✓ შესრულების ადგილს (თბილისი, 0108, საქართველო).

აღნიშნული გვერდის ნომერია არის -1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- **ხელმოწერის გვერდი**: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდა ჰქონდეს:
  - ✓ უნივერსიტეტის სრული
  - ✓ სახელწოდება („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“);
  - ✓ ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის დასახელება;
  - ✓ ავტორის ხელმოწერა და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - ✓ დისერტაციის **ხელმძღვანელის** სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
  - ✓ დისერტაციის **ექსპერტის/ექსპერტების** სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
  - ✓ დისერტაციის **სრეცენზენტების** სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით.
- **საკვლევი თემის მიზანი**;
- **საკვლევი თემის აქტუალობა**;
- **საკვლევი თემის მეთოდოლოგია**;
- **საკვლევი თემის შედეგები და მეცნიერული სიახლე**;
- **საკვლევი თემის პრაქტიკული ღირებულება** (საშემსრულებლო მიმართულებისთვის);
- **ლიტერატურის მიმოხილვა**;
- **ნაშრომის სტრუქტურა** (თავებისა და ქვეთავების მიხედვით).
- **პრაქტიკული ნამუშევრის აღწერა** (საშემსრულებლო მიმართულებისთვის);
- **დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა**: ავტორეფერატს უნდა დაერთოს დისერტაციის ავტორის მიერ დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა.



- **ილუსტრაციები**(საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაერთოს ძირითადი ნახაზები, ცხრილები და ილუსტრაციები).

ბიბლიოგრაფია ავტორეფერატს არ ერთვის.

#### 6.6. ავტორეფერატის შეფასების კრიტერიუმები

ავტორეფერატის შეფასება ხდება „რეცენზირებისათვის ნაშრომის წარმოგენის და შეფასების წესის“ მიხედვით. ავტორეფერატის ქულობრივ შეფასებას ახდენს მხოლოდ საერთაშორისო ექსპერტი, რომელსაც დისერტაციის დაცვამდე ეგზავნება ავტორეფერატის თარგმანი შესაბამის უცხო ენაზე.

### 7. სადოქტორო დისერტაციის გაფორმება და შეფასების კრიტერიუმები

#### 7.1. სადოქტორო დისერტაციის მოცულობა უნდა იყოს:

- თეორიული მიმართულების სპეციალობებისთვის – არანაკლებ 160 და არაუმეტეს 200 გვერდისა;
- საშემსრულებლო მიმართულების სპეციალობებისთვის – არანაკლებ 100 და არაუმეტეს 120 გვერდისა;

რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

#### 7.2. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების სხვა ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი მოთხოვნები. (ენა, ქალაქი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი). გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „-“, „\_“.

#### 7.3. სადოქტორო დისერტაციის სტრუქტურა:

- **სატიტულო გვერდი** (გარე ყდა): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდამოიცავდეს:
  - ✓ უნივერსიტეტის სრულ სახელწოდებას („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“ და ლოგო)
  - ✓ ფაკულტეტის და სადოქტორო პროგრამის დასახელებას;
  - ✓ დოქტორანტის გვარს და სახელს;
  - ✓ სადისერტაციო ნაშრომის დასახელებას;
  - ✓ სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს („წარმოდგენილია (დარგის დასახელება) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“)
  - ✓ შესრულების ადგილს (თბილისი, 0108, საქართველო).

აღნიშნული გვერდის ნომერია არის -1, მაგრამ იგი არ მიეთითება.

- **ხელმოწერის გვერდი**: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის და უნდაჰქონდეს:
  - ✓ უნივერსიტეტის სრულ სახელწოდება („საქართველოს შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“);
  - ✓ **ავტორის ხელმოწერა** და მისი საიდენტიფიკაციო ნომერი;
  - ✓ ფაკულტეტის და სადოქტორო პროგრამის დასახელება;
  - ✓ ტექსტი: „ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით (ავტორის გვარი, სახელი) მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: (დასახელება) და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრსა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“;
  - ✓ დისერტაციის **ხელმძღვანელის** სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
  - ✓ დისერტაციის **რეცენზენტების** სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით.
  - ✓ დისერტაციის **ექსპერტის/ექსპერტების** სახელები, გვარები, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა - დამოწმებული ხელმოწერით;
  - ✓ დაცვის თარიღს (დღე, თვე, წელი)

- **საავტორო უფლების გვერდი**: უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის ორიგინალს უნდაჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიაწოდოს სადოქტორო ნაშრომის განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს: „ფიზიკური იპირების სხვა დაწესებულებების მიერ შესაბამისი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული ნაწილის გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ სპეციფიურ მიდგომას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“ იგი დამოწმებული უნდა იქნას ავტორის ხელმოწერით.

- **რეზიუმე** (ქართულ ენაზე და ერთ-ერთ უცხო ენაზე)
- **სარჩევი / შინაარსი;**
- **შესავალი:** შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა (და/ან, ორი უკანასკნელი – საშემსრულებლო მიმართულებისთვის). მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიმდევნილი სადისერტაციო ნაშრომი.
  - ✓ **კვლევის მეთოდები:** აქ განხილული უნდა იქნას რამეთოდებს მიმართავს დისერტანტი კვლევის პროცესში დასმული საკითხის გადასაჭრელად, რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული მსგავსი საკითხების კვლევისთვის, რას იყენებს ან/და რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს (არსებობის შემთხვევაში).
  - ✓ **საკითხის შესწავლის არსებული მდგომარეობა და ლიტერატურის მიმოხილვა:** განხილული უნდა იქნას დისერტაციაში დასმული პრობლემის ირგვლივ არსებული ემპირიული ბაზა. რა მდგომარეობაა საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.
- **ძირითადი ტექსტი:** ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს საკითხის აღწერას-ანალიზს, მსჯელობას, განსჯას, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს. ამ ნაწილის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს აქვს უფლება იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული თავების და ქვეთავების რაოდენობით.
 

თუ შედეგების განსჯა დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად, მაშინ დასაშვებია ლიტერატურის მიმოხილვისა და შედეგების განსჯის ერთმანეთთან შეჯერება.
- **დასკვნა:** სადისერტაციო ნაშრომში აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.
- **ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა:** დაწყობილი ანბანური წესით (ჯერ ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ უცხოენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ვებ-გვერდები).
 

სქოლიოს, ბიბლიოგრაფიის/გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის გაფორმების და განთავსების წესი იხილეთ წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით დადგენილ სტანდარტებში.
- **საჭიროების ნუსხა** (საჭიროების შემთხვევაში): ინტერვიუს ზომად 1-ივეს 1. შრიფტის ზომა-12
- **გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა** (საჭიროების შემთხვევაში): დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.
- **ანბანური საძიებელი** (საჭიროების შემთხვევაში): ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ანბანური საძიებლის დართვა.
- **ფოტო-ილუსტრაციები, ნახაზები და ცხრილები** (საჭიროების შემთხვევაში):
  - ✓ ილუსტრაციების, ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. ლიტერატურული ან სხვა წყაროებიდან აღებული ფოტოების, ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას არ უნდა იქნას

დარღვეული საავტორო უფლებები. ნახაზები და ცხრილები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება.

- ✓ **ადგილმდებარეობა:** ილუსტრაციები, ნახაზები, ცხრილები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართის სახით. ფოტო ილუსტრაციების, ნახაზების, ცხრილების განთავსებისას, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური. დანართში არსებული ნახაზებისა და ცხრილების ნუმერაცია იწყება თავიდან.

- **დანართი** (საჭიროების შემთხვევაში): დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, გაანგარიშებები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და სხვა. დისერტაციაში საავტორო უფლებებით დაცული მასალების გამოყენების შემთხვევაში, დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.

**7.4. სადოქტორო დისერტაციის წარდგენა**

დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას 4 ეგზემპლარად;
- სადისერტაციო ნაშრომს უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი დისერტაციის ელექტრონული ვერსია (pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე). დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და დისერტაციის დასახელება.
- ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელისა და რეცენზენტების დასკვნები (ხელმოწერით).

**7.5. შეფასების კრიტერიუმები:**

##	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	ტექნიკური მხარე	20
1.1.	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	5
1.2.	სტრუქტურის გამართულობა	10
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	5
2.	შინაარსობრივი მხარე	60
2.1.	პრობლემის აქტუალობა	5
2.2	კვლევის სიახლე	10
2.2.	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	10
2.3.	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	15
2.4.	კვლევის შედეგების დასკვნების არგუმენტირებულობა	15
2.5.	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	5
3.	პრეზენტაბელურობა	20
3.1.	დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა	10
3.2.	კითხვებზე პასუხს გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა	10
	სულ:	100

**7.6. სადოქტორო დისერტაციის მოცულობა, გაფორმება, წარდგენა და შეფასება საშემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიულ) მიმართულებებზე :**

- 7.6.1. საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო დისერტაციის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 100 და არაუმეტეს 120 გვერდისა;
- 7.6.2. საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო დისერტაციის ტექნიკურ მხარეზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლით და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი მოთხოვნები (ენა, ქაღალდი, მინდორი, შრიფტი, სტრიქონებს შორის მანძილი, გვერდების

ნუმერაცია, თავებისა და ქვეთავების დასახელებები, სქოლიო, გამოყენებული წყაროების ციტირების წესი.)

- 7.6.3. სამემსრულებლო მიმართულების სადოქტორო დისერტაციის შინაარსი და სტრუქტურა ექვემდებარებაწინამდებარე დოკუმენტისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და, დამატებით, უნდა ითვალისწინებდეს სამემსრულებლო (დრამის, კინო-ტელე და ქორეოგრაფიული) მიმართულებების სპეციფიკის. წერთი ნაშრომის შინაარსი უნდა იყოს არსებით შესაბამისობაში შემოქმედებით პროექტთან (პრაქტიკულ ნაშრომთან);
- 7.6.4. სამემსრულებლო მიმართულების სადოქტორო დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად: 4 ეგზემპლარად. ნაშრომს უნდა დაერთოს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი თეორიული ნაშრომის და, ასევე, პრაქტიკული ნაშრომის ელექტრონული ვერსია (pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე). დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და ნაშრომის დასახელება. ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის და რეცენზენტების დასკვნები(ხელმოწერით).
- 7.6.5. სამემსრულებლო მიმართულების სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები

##	კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
	თეორიული ნაშრომი	
1	<b>ტექნიკური მხარე</b>	<b>15</b>
1.1.	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	5
1.2.	სტრუქტურის გამართულობა	5
1.3.	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	5
2.	<b>შინაარსობრივი მხარე</b>	<b>30</b>
2.1.	პრობლემის აქტუალობა	4
2.2	კვლევის სიახლე	4
2.2.	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	4
2.3.	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	7
2.4.	კვლევის შედეგების დასკვნების არგუმენტირებულობა	7
2.5.	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	4
3.	<b>პრაქტიკული ნამუშევარი</b>	<b>35</b>
4.	<b>პრეზენტაბელურობა</b>	<b>20</b>
4.1.	დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა	10
4.2.	კითხვებზე პასუხს გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა	10
	სულ:	<b>100</b>

7.7. კვლევისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება

- ა) ნაშრომებში დაუშვებელია პლაგიატიზმი. ციტირებები სათანადოდ უნდა იქნას გაფორმებული, ხოლო წყარო - სქოლიოში მითითებული;
- ბ) ნაშრომში კატეგორიულად იკრძალება ამორალური, უხამსი, ანტიკონსტიტუციური, სახელმწიფომმართველობის არსებული სისტემის საწინააღმდეგო, პირის ან სხვა ეთნიკური და რელიგიურიჯგუფებისშეურაცხყოფელი ანცილისმწამებლურიდასხვაარაკანონიერიმოსაზრებებისგამოხატვა;
- გ) პუნქტი ბ)-თ გათვალისწინებულის გარდა, დაუშვებელია ხელმძღვანელის მიერ ნაშრომისავტორისათვის თავისუფალი აზრის გამოხატვის შეზღუდვა რაიმე ფორმით.

- დ) ავტორის შეზღუდვად არ მიიჩნევა ხელმძღვანელის მიერ გაწეული კონსულტაცია და განმარტებები სადავო საკითხთან დაკავშირებით;
- ე) თუკი ნაშრომის ხელმძღვანელის აზრი რადიკალურად განსხვავდება ნაშრომის ავტორის აზრისაგან, ან ეს მისთვის მიუღებელია, ხელმძღვანელი უფლებამოსილია ნაშრომს თან დაურთოს დასკვნა ან ორიგინალის ტექსტზევე გააკეთოს შენიშვნა, სადაც მიუთითებს, თუ რა ნაწილში არ ეთანხმება ის ავტორს. დასკვნა ნაშრომის შემადგენელი ნაწილია და ერთვის მას დანართის სახით, რაც მიეთითება სარჩევში, ხოლო შენიშვნა ხელმძღვანელის მიერ შესაძლებელია გაკეთდეს ნაშრომის ნებისმიერ გვერდზე;
- ვ) პუნქტი ბ)-თ აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, დასაბუთებული არგუმენტაციით, ხელმძღვანელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნაშრომის ხელმძღვანელობაზე.

## 8. დისერტაციის პროექტი

- 8.1. დისერტაციის პროექტი უნდა შესრულდეს მთლიანად სემესტრში და წარდგენილ იქნას დარგობრივ სექციაზე, რომელიც განიხილავს მას და მიღების შემთხვევაში სადისერტაციო თემის სათაურს წარადგენს სადისერტაციო საბჭოში დასამტკიცებლად.
- 8.2. დისერტაციის პროექტის სტრუქტურა:
  - ✓ შესავალი (საკითხის მოკლე დახასიათება);
  - ✓ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და პრობლემის წარმოჩენა;
  - ✓ მეთოდოლოგია;
  - ✓ ძირითადი საკვლევი საკითხები;
  - ✓ კვლევის მოსალოდნელი შედეგები;
  - ✓ კვლევის გეგმა გაწერილი სემესტრების მიხედვით;
  - ✓ დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
  - ✓ ბიბლიოგრაფია.
  - ✓ სამეცნიერო მიმართულებებისთვის პრაქტიკული ნაშრომის აღწერა.

## 9. მოთხოვნები, რომელიც წაყენება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში დასაბეჭდად წარმოდგენის ნაშრომს (პუბლიკაცია/სტატია)

- 9.1. ტექნიკური მხარე:
  - მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 15 ნაბეჭდი გვერდისა (A4);
  - შრიფტი „AcadNusx“, შრიფტის ზომა -12, ინტერვალი 1,5;
  - ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს MS WORD-ში;
  - ნაშრომი წარდგენილი უნდა იქნას ამობეჭდილი და ელექტრონული სახით (დისკზე ან ინფორმაციის სხვა მატარებელზე გარდა floppy disc-ისა, ან გაიგზავნოს ელ-ფოსტით მისამართზე info@tafu.edu.ge), თემაში მიუთითეთ ~კრებულისათვის~;
  - სასურველია ავტორის ფოტო;
  - ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე (1/2-დან 1 გვერდამდე);
  - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა ნაშრომს თან უნდა დაურთონ შესაბამისი დარგის პროფესორის წერილობითი რეკომენდაცია ნაშრომის დაბეჭდვის მიზანშეწონილობის შესახებ.
- 9.2. შინაარსობრივი მხარე:
  - თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სწავლებისა და კვლევის ძირითად მიმართულებებს;
  - ნაშრომის დასაწყისში მიუთითეთ მიმართულება/დარგი:
    - ✓ რეჟისურა (დრამის, კინო, ტელე);
    - ✓ მსახიობის სამეცნიერო ხელოვნება;
    - ✓ თეატრმცოდნეობა;
    - ✓ კინომცოდნეობა;
    - ✓ ქორეოლოგია;
    - ✓ ხელოვნებათმცოდნეობა;
    - ✓ კულტურის მენეჯმენტი;

- ✓ ტელემედია (სოციალური მეცნიერებები);
- ✓ სხვა.
- ნაშრომის სტილი: ფორმალური;  
ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო ნაშრომისათვის დადგენილ საერთაშორისო და საუნივერსიტეტო სტანდარტებს.